საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებულისექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი # 2
30.06.2014

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**30 ივნისი, 2014წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე
მარიამ ჯაში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თანათავმჯდომარე
ანა ქუთათელაძე	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი
დავით სიგუა	ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის სექტორული თანამშრომლობის დეპარტამენტი
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ირაკლი პეტრიაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
კახაბერ დაუშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტების კოორდინატორი
სერგო თურმანიძე	ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი (AMC)
საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
ერინგ ჰეივი	ევროპული განათლების ფონდის (ETF) ექსპერტი
ანი ქიტიაშვილი	ევროპული განათლების ფონდის (ETF) ადგილობრივი ექსპერტი (კოორდინატორი)
შტეფან შტორკი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პაატა ჟორჟოლიანი	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საბჭოს სხდომის მდივანი	
ვიქტორია ზამთარაძე	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობების და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**ფასილიტატორი /მომხსენებელი**
ცვლილება საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში - ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის განსაზღვრა;	**ქეთევან ნატრიაშვილი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
საკითხი #2	
დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხის განხილვა;	
საკითხი #3	
პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში	ნიკოლოზ მესხიშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი;
საკითხი #4	
მოხსენება ,,საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) წლებისათვის" განხორციელების შესახებ	თამარ ქიტიაშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
საკითხი #5	
მოხსენება ,,საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების შესახებ"	პაატა ჟორჟოლიანი, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;
საკითხი #6	
მოხსენება პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ტექნიკური დახმარების კომპონენტის ფარგლებში მიმდინარე ტენდერის შესახებ	ნინო ყოჩიშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტის მენეჯერი;

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“(შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე **ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები. თავმჯდომარემ წარადგინა საკოორდინაციო საბჭოს ახალი წევრი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი - ბატონი ელგუჯა მელაძე, რომელიც ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ განმეორებითი კენჭისყრის საფუძველზე (ხმათა უმრავლესობით) იქნა არჩეული (ვინაიდან, წინა კენჭისყრის შედეგად შერჩეულმა წარმომადგენელმა, ქ-ნმა თეა გულუამ უარი განაცხადა საბჭოს წევრობაზე) დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში მის წარმომადგენლად.

ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი გამოეხმაურა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წერილს საკოორდინაციო საბჭოში დამსაქმებელთა ასოციაციის კანდიდატის წარდგენის შესახებ და განმარტა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია, ვინაიდან დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი ელგუჯა მელაძე, უკვე დასახელდა საკოორდინაციო საბჭოს წევრად.

ასევე აღინიშნა, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით შემოსულია საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარისა და ამავდროულად პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრის, ბატონი დანიელ დავითაშვილის წერილი, რომელიც გამოთქვამს სურვილს, რომ საკოორდინაციო საბჭოში წარმოდგენილი იყოს წევრის ან დამკვირვებლის სტატუსით. ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია საბჭოს მიერ განხილული საკითხებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, საჭიროა საბჭომ იმსჯელოს დამკვირვებლის სტატუსით პირების დამატების მიზანშეწონილობის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ **ქალბატონმა მარიამ ჯაშმა,** აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკმაოდ მოცულობითი სამუშაო, რომლის შესახებ დეტალურ ანგარიშს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ბატონი პაატა ჟორჟოლიანი წარმოადგენს. ასევე აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს შრომასთან დაკავშირებულსაკითხებზე, განსაკუთრებით კი საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. მისივე თქმით, დღეისათვის მიმდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, რომლის შესახებ მოხსენებას ქალბატონი ნინო ყოჩიშვილი გააკეთებს. შეხვედრისას აღინიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული მხარდაჭერის ირგვლივ. გარდა ამისა, განიხილება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის საკითხი შრომის ბაზრის ობზერვატორიის

დანერგვის კუთხით. მხარდაჭერა შესაძლოა განხორციელდეს ასევე ეფექტური სოციალური დახმარების სისტემის ფორმირებაში.ქალბატონმა მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერი საერთაშორისო პროგრამა უნდა იყოს ჰარმონიზებული ევროკავშირის დახმარების პროექტთან. რაც შეეხება დამკვირვებლის სტატუსს და საჯაროობას, მისი აზრით მთავარია არსებობდეს გამჭირვალობის მექანიზმი და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ **ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა** ხაზი გაუსვა იმას, რომ დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირი არ არის უფლებამოსილი ჩაერთოს გადაწვეტილების მიღების პროცესში, ხოლო რაც შეეხება ინფორმაციის საჯაროობას იგი აუცილებლად უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით შესაძლებელია სხდომის ოქმების ვებ-გვერდზე განთავსება.

ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა **ბატონმა შტეფან შტორკმა** ევროკომისიის სახელით აღნიშნა, რომ შესაძლებელია სოციალური დიალოგის გაღრმავება და ხაზი გაუსვა წესდების ფორმატს, რომელიც იძლევა დამკვირვებლის სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, დგება საკითხი, ხმის მიცემის დროს რამდენად გაითვალისწინებენ დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირის მოსაზრებას, ამიტომ კარგი იქნებოდა თუ გადაწყვეტილებას მიიღებენ მხოლოდ ის წევრები, რომლებსაც აქვთ ამის უფლება. თუმცა ბატონ შტეფანს მიაჩნია, რომ უკვე ჩამოყალიბებულია ჯგუფი, რომელიც არ საჭიროებს სხვა წევრების დამატებას.

ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრი სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი და ჩართული ამ პროცესში, ვინაიდან მიმდინარე სხდომას არ ესწრება ბევრი სამინისტროს წარმომადგენელი.
ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოს წევრობა ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს და სხდომებზე დასწრება აუცილებელია.

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა - ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა სხდომის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების „დასაქმება და პროფესიული განათლება“ პროექტის შესახებ. კერძოდ კი, ისაუბრა ევროკავშირის პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებზე, რომლის განხორციელების საფუძველზეც მოხდა პირველი ტრანშის გადმორიცხვა. ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების საფუძველზეც (2015 წელს) მოხდება მეორე ტრანშის გადმორიცხვა.

შემდეგი მოხსენება შეეხო საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას, რომელიც წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელებაში სამინისტროსთან ერთად სხვა უწყებები, მათ შორის სამინისტროსთან არსებული დაქვემდებარებული სააგენტოები არიან ჩართულნი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემისა და შრომის ბაზრის კვლევის კომპონენტების განხორციელებას. ქალბატონი თამარ ქიტიაშვილის თქმით ყველა დაგეგმილი აქტივობა გეგმაზომიერად შესრულდა.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა - ბატონმა პაატა ჟორჟოლიანმა თავის მოხსენებაში ისაუბრასაქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. ბატონმა პაატამ აღნიშნა, რომ შემუშავდა დასაქმების, შრომითი მიგრაციისა და ასევე შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კანონპროექტები. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება სოციალურ პარტნიორებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ზემოაღნიშნული კანონპროექტების დასრულების შესახებ. მან ასევე მიმოიხილა შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით გატარებული ღონისძიებები.

ქალბატონმა მარიამ ჯაშმა ისაუბრა შრომითი მიგრაციის კანონპროექტის მიმდინარე სტატუსთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ საკითხი აქტუალურია და აუცილებელია იმიგრაციული და ემიგრაციული ნაკადების მოქცევა გარკვეულ მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლის შესახებ მიმდინარეობს ძალიან ინტენსიური მოლაპარაკებები ეკონომიკურ ბლოკთან. უნდა ხდებოდეს გამავალი ნაკადების რეგისტრაცია და შემომავალი ნაკადების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს საქართველოს მოქალაქეების დასაქმების უპირატესობის უზრუნველყოფა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციის მოზიდვის დროს. სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის ძალიან მყარი. ჩნდება კითხვები თუ რამდენად შეუშლის ხელს არსებული რეგულაცია უცხოური ინვესტიციების შემოტანას ქვეყანაში. ბოლო დასკვნითი შეხვედრა ჩატარდება უახლოეს პერიოდში და შესაძლებელია ეს საკითხი ეკონომიკურ საბჭოზე იქნეს განხილული მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ასევე, ქალბატონმა მარიამმა მოიყვანა მაგალითი, რომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივ მუშა ხელს არ გააჩნია ის უნარები, რაც საჭიროა გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს აბსოლუტურად მიღწევადია ტრენინგის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ამ კუთხით იქნება მიზანშეწონილი ამ ორი უწყების თანამშრომლობა - თუ განათლების სისტემას ექნება ინფორმაცია მოთხოვნად პროფესიებზე,

განათლების სისტემა შეძლებს შესაბამისი კადრების მომზადებას. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი.

ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა მადლობა გადაუხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ისაუბრა იმაზე, რომ შრომის დაცვის კუთხით კიდევ უფრო ბევრი რამ უნდა კეთდებოდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საწარმოებში დასაქმებულთა შრომის პირობები უნდა იქნას აუცილებლად დაცული, რადგან ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ქვეყანაში ასაქმებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს სხვადასხვა ტიპის საწარმოებში, მაშინ როდესაც საქართველოს მოქალაქეები არ არიან დასაქმებულები. მისი აზრით ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების დასწრება საბჭოზე და ამ საკითხებში ჩართულობა აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონმა ირაკლიმ ასევე აღნიშნა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების თანამშრომლობა ორ ასპექტში არის მნიშვნელოვანი. პირველი, ეს არის პროფესიული განათლება, რისთვისაც აუცილებელია შრომის ბირჟის არსებობა, სადაც მოხდება უმუშევართა აღრიცხვა და სამუშაოს მაძიებლების რეგისტრაცია. და მეორე, უნდა შეიქმნას ბანკი, სადაც მოხდება მუშახელის მომზადება გარკვეულ პროფესიებში.

ბატონმა ირაკლიმ ასევე აღნიშნა, რომ სოციალური პარტნიორობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების აღქმა არასწორია ბევრ საწარმოში, ხოლო იმ საწარმოებში, სადაც მიმდინარეობს სოციალური პარტნიორობა ბევრად ნაკლებია დასაქმებულთა შრომითი პირობების დარღვევა. ამისათვის კი აუცილებელია შრომის პირობების მონიტორინგის არსებობა. ბატონი ირაკლი ასევე შეეხო შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის კანონპროექტში ცვლილებების შეტანის საკითხს, ვინაიდან კანონმდებლობა საჭიროებს გადახედვას.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ელგუჯა მელაძემ მადლობა გადაუხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი რამ კეთდება შრომის კუთხით. ასევე ბატონმა ელგუჯამ ხაზი გაუსვა იმას, რომ სამწუხაროდ ამ თემების პოპულარიზაცია არ ხდება. ასევე, გასათვალისწინებელია ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და შრომის პირობების მონიტორინგი, რათა მოხდეს ბევრი პრობლემის გადაჭრა და აღმოფხვრა.

ბატონი შტეფან შტორკი გამოეხმაურა ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მოსაზრებას შრომის პირობების მონიტორინგის არსებობასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მხრიდან აღებული ვალდებულებები შრომის უსაფრთხოების კუთხით აუცილებლად იქნება შესრულებული ისევე, როგორც შრომის პირობების მონიტორინგის სამსახურის დანერგვა. შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით ბატონმა შტეფანმა აღინიშნა, რომ ამჟამად ჩამოყალიბებულია მისია, რომელიც ჩართულია შრომითი მიგრაციის საკითხებში და არსებობს არაერთი ევროკავშირის ქვეყანა, რომელსაც აქვს სურვილი საქართველოსთან გააღრმავოს შრომითი მიგრაციის კუთხით მუშაობა. მისი აზრით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

სტრატეგიაზე აქტიურად მუშაობა დასაფასებელია და იმედია შედეგს გამოიღებს. ბატონმა შტეფანმა წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმატში მოხდება მეორე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიშგება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონმა პაატა ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ანგარიშების წარმოდგენა შესაძლებელი იქნება ამ საბჭოს ფარგლებში.

ბატონმა შტეფანმა გააკეთა მოხსენება პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ტექნიკური დახმარების პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ტექნიკური დახმარების ფუნქცია არ არის შეასრულოს ის პირობები, რაც დევს ამ საბიუჯეტო დახმარების პროექტის ფარგლებში, არამედ ხელი შეეწყოს და დაეხმაროს სამინისტროებს, რომ მათ შეძლონ ამ პირობების შესრულება. არსებობს ცვალებადი და ფიქსირებული ტრანშები და ცვალებადი ტრანშების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა დაიწყოს ახლავე, რადგან შემფასებელი კომისია, რომელიც ჩამოვა ოქტომბრის მეორე ნახევარში, შეაფასებს შესრულებულ სამუშაოს ამ წლის ბოლომდე. საბოლოო შეფასება მოხდება იანვრის თვეში, შესაბამისად სამინისტროებს უნდა ჰქონდეთ მზა ანგარიშები 2014 წლის დეკემბრის ბოლოსთვის. რაც შეეხება, საჯარო სამსახურების დაძმობილების, ე.წ Twinning-ის პროგრამას, მათი შეფასება მოხდება ოქტომბერში და 2015 წლის მეორე კვარტალში ამოქმედდება პროექტი. არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებით ამ წლის ბოლოს გამოცხადდება საგრანტო კონკურსი.

პირველი ტრანშის მოთხოვნასთან დაკავშირებული პირობების შესრულების შესახებ ანგარიში უკვე მიიღო ევროკავშირის დელეგაციამ და გაიგზავნა ბრიუსელში.

სხდომა დასრულებულად გამოაცხადა ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა და შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2, მე-3 საკითხის და ასევე პირთა დამკვირვებლის სტატუსით წევრად დამატების საკითხის განხილვის გადადება შემდეგი სხდომისათვის.

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომის თავმჯდომარე
ქეთევან ნატრიაშვილი _____

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომის თანათავმჯდომარე
მარიამ ჯაში _____

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის მდივანი:

ვიქტორია ზამთარაძე _____